ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის დღე ოზურგეთშიც აღნიშნეს

25 ნოემბერი ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეა.

ამ დღესთან დაკავშირებით ოზურგეთის სამოქალაქო მოძრაობის აქტივისტებმა, ჟურნალისტებმა ოზურგეთის იუსტიციის სახლის წინ სოლიდარობის აქცია გამართეს.

— ჩვენ ვუერთდებით, სოლიდარობას ვუცხადებთ ქალთა მოძრაობის მიერ დაგეგმილ სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ მარშს, რადგან გვჯერა, რომ ყველა ქალი უნდა იყოს დაცული გაუპატიურებისაგან, ამისთვის კი მოვითხოვთ კანონის ცვლილებას პარლამენტისაგან.

დღეს მოქმედი კანონმდებლობა სრულყოფილად არ არეგულირებს გაუპატიურებას და სქესობრივ დანაშაულებს — გაუპატიურებად ითვლება სქესობრივი აქტი, რომელსაც თან ახლავს დამატებითი ძალადობა, მგალითად ცემა, ხოლო თანხმობის ნაკლებობა გაუპატიურებად არ ითვლება.

ეს უნდა შეიცვალოს.— განაცხადეს აქციის მონაწილეებმა.

ალიონი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 31 (10442) 28 ნოემბერი 2022 წ. ფასი 80 თეთრი.

75 წლის მამაკაცი პოლიციამ ვაშლის გათლის გამო 200 ლარით დააჯარიმა

ალიონი. სამეცნიერო წრეებში დღესაც პოპულარულია მითი, როცა ისააკ ნიუტონი ლონდონთან ახლოს ვულსტორპ მანორში ვაშლის ხის ქვეშ იწვა და დედამიწის გარშემო მთვარის ორბიტას აკვირდებოდა. ერთხელაც, ხიდან ჩამოვარდნილი ვაშლი ნიუტონს თავზე დაეცა — ევრიკა! ნიუტონმა გრავიტაცია აღმოაჩინა.

ნიუტონისგან განსხვავებით, ოზურგეთელმა **გივი მეხრიშვილმა** მსოფლიო მიზიდულობის კანონის ნაცვლად ერთი ცალი ვაშლის ფასი „აღმოაჩინა", რაც ოზურგეთში არც მეტი არც ნაკლები 200 ლარს შეადგენს.

მას ოზურგეთში იცნობენ როგორც წესიერ და მშრომელ ადამიანს. ოჯახური მდგომარეობის გამო კერძო ტაქსით მცირე ბიზნესს ეწევა და პურის ფულს შოულობს.

24 ნოემბერს, ქ. ოზურგეთში, გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩის დასაწყისში, მსუბუქი ავტომანქანიდან იყო გადმოსული და იქვე მყოფმა ხილბოსტნეულით მოვაჭრემ უფასოდ ერთი ცალი გორის ვაშლის დაგემოვნება შესთავაზა.

—კბილების პრობლემა მაქვს და ვერ გავსინჯავო...გ.მ ავტომანქანასთან მივიდა, მანქანის გასაღები აიღო, რომელზეც პატარა ე.წ. ძველი „ჯაყვა" ჰქონდა და შეთავაზებული ვაშლის გათლა დაიწყო...

▶▶▶ გვ—2

საკრებულოს სხდომაზე ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლები ერთმანეთს სიტყვიერად დაუპირისპირდნენ

ალიონი. გასულ პარასკევს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლები ერთმანეთს სიტყვიერად კვლავ დაუპირისპირდნენ და ერთმანეთს შეურაცხმყოფელი სიტყვებით მიმართეს.

კამათი ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" დეპუტატის **თათია ნიკოლაიშვილის** შეკითხვას მოჰყვა, რომელიც ოზურგეთის რაგბის სტადიონის მშენებლობის საკითხს შეეხებოდა.

— ბიუჯეტიდან 2 მილიონ 243 ათასი ლარია დახარჯული და მე მინტერესებს, სად წაიღეთ ეს თანხა და რატომ არის ასეთ მდგომარეობაში ოზურგეთის რაგბის კლუბი, რაგბის სტადიონი. არჩილ თალაკვაძე 2017 წლიდან რომ პირდებოდა წარმატებულ სპორტსმენებს, რაგბის მოედნის რეაბილიტაციას დღემდე არ შესრულებულა. რატომ არ დახარჯეს თეთრი ოზურგეთის საჭიდაო დარბაზის რეაბილიტაციისათვის, როცა მხოლოდ 3 თვეში 5 მილიონი ლარია დახარჯული სპორტის განვითარების მიმართულებით? ან რატომ გაუკეთეთ ხიდი სოფელ ბახვში ადამიანებს ისე, რომ მანქანა ჩავარდა და სამშველო სამსახურის გამოძახება დასჭირდათ? პასუხები არ გაქვთ და კეზერაშვილი გაკერიათ პირზე — მიმართა თათია ნიკოლაიშვილმა სხდომაზე მყოფ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილე გიორგი ღურჯუმელიძეს და საკრებულოს ხელმძღვანელებს.

—როცა არჩილ თალაკვაძე მოვიდა დეპუტატად, პირველი, რაც „ქართული ოცნების" პრიორიტეტებში აისახა, ეს ეს იყო რაგბის განვითარების კავშირის თანადგომა. ეს არის ნონსენსი, როდესაც ქალბატონი თათია წინა სხდომებზე კულტურის განვითარებას ტაშ-ფანდურას ეძახდა და ახლა სხვა პათოსით მოგვიწოდებს. დიახ, სწორედ არჩილ თალაკვაძის დამსახურებაა ის მიღწევები რაც ოზურგეთს გაჩნია — ასე უპასუხა ნიკოლაიშვილს ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარე **მარიკა ჩხიკვიშვილმა.**

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილე **ლავრენტი ბიგვავამ** განუმარტა ოპონენტებს, რომ ყველაფერი გაკეთდება რაგბის სტადიონის ასაშენებლად, მაგრამ მისი აშენება არ მოხდება, თუ არ მოხდა განთავსება. რაც შეეხება იმას, თუ სად დაიხარჯა კონკრეტული თანხები, თუკი მესამე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების საკითხს ჩახედავდით პასუხს იქ იპოვიდითო.

კამათში ლაითური-ნარუჯის მაჟორიტარი დეპუტატი **რაინდი ღუმბაძე** ჩაერთო.

*—დაბა ლაითურში სახლი რომ ინგრევა, ამაზე 20-მდე განცხადებაა მუნიციპალიტეტში შემოსული და ამაზე რეაგირება არ გვაქვს —*განაცხადა მან.

დაპირისპირების შემდეგი ეტაპი ნაციონალი დეპუტატის **შალვა თავდიშვილის** რეპლიკებით დაიწყო გიორგი ღურჯუმელიძის მიმართ, რომელიც შემდეგ სიტყვიერ შეურაცყოფებში გადაიზარდა. „მონა ხარ,"„კორუმპირებული", „უზრდელი ხარ" — ისმოდა სხდომის დარბაზში.

*— შეხედეთ ადმინისტრაციულ შენობას. ძველი მოსაპირკეთებელი ქვა ჩამოიღეთ და ახლა აკრავთ ისეთივე ქვას. ვინ დაგაფინანსათ. გრცხვენიათ ხომ ევროკავშირის თქმა. ასე ანგრევთ ბიუჯეტს. რატომ არ ესწრება სხდომებს მუნიციპალიტეტის მერი? სოფელ ძიმითში არჩევნები გააყალბეთ —*ამბობდა შალვა თავდიშვილი.

კიდევ ერთი ნაციონალი დეპუტატი — ამ პარტიის ფრაქციის თავმჯდომარე **დავით მაჟავანაძე** საკრებულოს საფინასო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ გელა ჩავლეიშვილის დასახელების შემდეგ სიტყვით გამოვიდა.

— ახლა კიდევ ერთხელ დადასტურდა თქვენი ერთობა ამერიკის მაგინებელ პრორუსულ „ახალ ძალასთან" — განაცხადა მაჟავანაძემ.

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიორჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი

ნუგზარ ასათიანი

nugzarasatiani15@gmail.com

558 499100

კომპიუტერული უზრუნველყოფა

გიორგი გოგოლაძე

gia_77@mail.ru

551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3

ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“

მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

სოფელ ლესაში ცუცა სარჯველაძეს 100 წელი შეუსრულდა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლესაში მცხოვრებ **ცუცა სარჯველაძეს** 100 წელი შეუსრულდა. დაბადების დღე ქალბატონ ცუცას მუნიციპალიტეტის პირველმა პირებმა მიულოცეს.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** საუკუნის ქალბატონს ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე უსურვა.

ქალბატონ ცუცას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური პროგრამიდან (ხანდაზმულ, 100 და მეტი წლის ასაკის, პირთა დახმარება) ანგარიშზე 1000 (ათასი) ლარი დაერიცხა.

სამხარეო ადმინისტრაციაში შეხვედრა გაიმართა

სამხარეო ადმინისტრაციაში საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის წევრებთან შეხვედრა გაიმართა, რომელსაც გურიაში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეები **ქეთევან მოისწრაფეშვილი** და **ზაზა შოშიტაიშვილი,** ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან და სპორტის სფეროში დასაქმებულ პირებთან ერთად დაესწრნენ.

შეხვედრაზე კომიტეტის წევრებმა, მუნიციპალიტეტში სპორტის განვითარების კუთხით არსებულ გამოწვევებზე ინფორმაცია მოისმინეს და იმ საჭიროებებს გაეცნენ, რასაც ადგილობრივი სპორტსმენები და მწვრთნელები მნიშვნელოვნად მიიჩნევენ.

საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლებმა გასვლითი შეხვედრის ფარგლებში, ოზურგეთის სპორტული ინფრასტრუქტურა, მოქმედი და მშენებარე სპორტული მოედნები, ჩოგბურთის კორტები, ფეხბურთის და რაგბის სტადიონები მოინახულეს. დეპუტატები, ასევე, იმყოფებოდნენ სოფელ ბახვის საჯარო სკოლაში, სადაც გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით, სასმელი წყლის გამწმენდ - გამფლირტავი სისტემები დამონტაჟდა.

გიორგი ურუშაძე სამუშაო ვიზიტით პოლონეთის რესპუბლიკაში იმყოფებოდა

14-18 ნოემბერს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე **მზია გიორგობიანი,** გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული **გიორგი ურუშაძე**, რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელ პირებთან ერთად სამუშაო ვიზიტით პოლონეთის რესპუბლიკაში იმყოფებოდა.

ვიზიტი ევროკავშირის და გაეროს განვითარების პროგრამის ორგანიზებით ჩატარდა და მის მიზანს წარმოადგენდა რეგიონული განვითარების პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პოლონური გამოცდილების გაცნობა, რაც, თავის მხრივ, ევროკავშირის ეკონომიკური და სოციალური გათანაბრების (კოჰეზიის) პოლიტიკის უახლესი მიდგომების გათვალისწინებით ჩამოყალიბდა.

ვიზიტის ფარგლებში, შეხვედრები გაიმართა პოლონეთის ფონდებისა და რეგიონული განვითარების პოლიტიკის სამინისტროს, ასევე, რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან.

„ეტალონმა“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები დააჯილდოვა

„პირველკლასელთა აკადემიისა“ და „ეტალონის“ პროექტების სულისჩამდგმელი **გოჩა ტყეშელაშვილი** ლანჩხუთში იმყოფებოდა.

საქვეყნო მნიშვნელობის საგანამანთლებლო პროექტების მხარდაჭერისთვის და სახელმწიფო სამსახურში ეფექტური და წარმატებული მოღვწეობისთვის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს **ალექსანდრე სარიშვილს** 2022 წლის „საქვეყნო მნიშვნელობის მერის“, ხოლო **ბესიკ ტაბიძეს** 2022 წლის „საქვეყნო მნიშვნელობის საკრებულოს თავმჯდომარის" დიპლომები საზეიმოდ გადაეცათ.

ოზურგეთში ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ბოლო პერიოდში ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქ-მედებების შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღეს, 6 პირი დააკავეს, ერთი კი ამხილეს – აღნიშნულ ინფორმაციას შს სამინისტროს პრესსამსახური ავრცელებს.

გურიის პოლიციის დეპარტამენტის ოზურგეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა 1952 წელს დაბადებული **გ.წ.** ცეცხლსასრ-ოლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.

პოლიციამ, ბრალდებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღო: სხვადასხვა სისტემის 2 პისტოლეტი, შაშხანა, ფეთქებადი ნივთიერება, 2 ხელყუმბარა, 12 მჭიდი და სხვადასხვა ტიპის ცეცხლსასროლი იარაღისთვის გა-ნკუთვნილი 293 ვაზნა.

დანაშაული 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვისა და ტარების, ასევე, ასაფეთქებელი მოწყობილობის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს.

75 წლის მამაკაცი პოლიციამ ვაშლის გათლის გამო 200 ლარით დააჯარიმა

უცებ მას გადაცმული ადამიანი, სავარაუდოდ ქვეითი პატრული გამოეცხადა და დარეკა პოლიციაში... პოლიციის თანამშრომლები მოვიდნენ და ცივი იარაღის ტარებისათვის მეხრიშვილი პოლიციაში წაიყვანეს, დაკითხეს, ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა ოქმი შეუდგინეს და 200 ლარით დააჯარიმეს.

– 75 წლის კანონმორჩილი ადამიანი ვარ. არასდროს არაფერი არ დამიშავებია და არასდროს ვყოფილვარ პოლიციაში. არავითარი გაფრთხილება. ოქმი შემიდგინეს და 200 ლარი ჯარიმა მაქვს გადასახდელი, ფაქტიურად 2 კვირის განმავლობაში უფასოდ უნდა ვიმუშაო. მიმაჩნია, რომ გაფრთხილება უნდა ეკმარებინათ. სასამართლოს მივმართავ და ჯარიმის გაუქმებას მოვითხოვ –გვითხრა მან.

–კანონი ყველასათვის უნდა კანონობდეს, მაგრამ მოსახლეობის ინფორმირებულობა ამ კუთხით სუსტია. როცა ხედავ, ადამიანი არაფერს არ აშავებს, სუფთა ბიოგრაფია აქვს, ხომ შეიძლება გაფრთხილება ეკმარებინათ. ამ კაცს კარგი ეკონომიკური მდგომარეობა რომ ჰქონდეს, აქ დადგებოდა –გვითხრა მოქალაქე **რ.ც-ძემ.**

– რამდენადაა ეს უბრალო, მწყობრიდან გამოსული პატარა დანა ცივი იარაღი? არ რატომ არ აკმარეს გაფრთხილება? ვფიქრობ რომ მეხრიშვილის ქცევა ჯარიმას არ ექვემდებარებოდა პოლიცია პენსიონერს უკანონოდ მოექცა. მე დავიცავ ამ ადამიანის უფლებებს – გვითხრა ადვოკატმა **კახა ჩავლეშვილმა.**

საკრებულოს სხდომაზე 11 საკითხზე იმსჯელეს

გასულ პარასკევს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩია უძღვებოდა.

სხდომაზე დღის წესრიგით გათვალისწინებულ 11 საკითხზე იმსჯელეს.

საკრებულოს გადაწყვეტილებით დაბა ურეკში 7 უსახელო ქუჩას შემდეგი სახელები მიენიჭა: „ძმობის“, „მთის ბროლის“, „თამარ მეფის“ , „მაგნეტიტის“, „მეგობრობის“, „გაბრიელ ეპისკოპოსის“ და „შოთა გოგუაძის“.

დამტკიცდა შემდეგი დადგენილება: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესისა და ნასყიდობის ხელშეკრულების ფორმების დამტკიცების შესახებ;

საკრებულომ ცნობად მიიღო ინფორამცია, „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის III კვარტლის შესრულების ანგარიშის მიმოხილვის თაობაზე.“

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი უკან დაუბრუნა

საკრებულოს გადაწყვეტილებით დარგობრივი კომისიების დასკვნების შესაბამისად 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი აღმასრულებელ ორგანოს კორექტირების მიზნით დაუბრუნდა, თუ რა რეკომენდაციები და წინადადებები აისახა კომისიებსა და ფრაქციის დასკვნებში იხილეთ ბმულზე: **http://ozurgeti.mun.gov.ge/?cat=142**

CCEH-ის ახალქალაქის ჰიდროელექტროსადგური გურიიდან ჩასულმა დელეგაციამ დაათვალიერა

2022 წლის 19-20 ნოემბერს, ბახვი ჰესის გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებზე მომუშავე მრჩეველთა საბჭო და ოზურგეთში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები სამცხე-ჯავახეთს, კერძოდ ახალქალაქს ესტუმრნენ, სადაც დაათვალიერეს კავკასიის განახლებადი ენერგიის ჰოლდინგის, CCEH-ის პორტფელში არსებული ახალქალაქის ჰიდროელექტროსადგური. პროექტი 2 ჰიდროელექტროსადგურისგან, „ახალქალაქი 1“ და „ახალქალაქი 2“, შედგება.მისი ინფრასტრუქტურა მდებარეობს მდინარე ფარავანსა და მის მარჯვენა შენაკადზე, კორხის-წყალზე. ახალქალაქის ჰიდროელექტროსადგურის დადგმული სიმძლავრე 9.1 მეგავატია, წლიური გამომუშავება კი 50 მილიონი კილოვატსაათი. ჰიდროელექტროსადგური 2022 წლის 5 ნოემბერს ოფიციალურად გაიხსნა და კომერციული ოპერირება დაიწყო.

ახალქალაქი ჰიდროელექტროსადგურის მენეჯმენტის წევრებმა „ბახვი ჰესის“ მრჩეველთა საბჭოს და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს გააცნეს ჰესის მუშაობის პრინციპები.სტუმრებმა დათვალიერეს ჰიდროელექტროსა-დგურის ინფრასტრუქტურა, სადაც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ნატურალიზირებული თევზსავალს და მისი ოპერირების თავისებურებების გაცნობას. დღის მეორე ნახევარში გაიმართა სამუშაო შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც, კავკასიის განახლებადი ენერგიის ჰოლდინგის დირექტორმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო ფონდის ხედვა, მიზნები და სტრატეგია, ასევე, იმსჯელეს ფონდსა და მის პორტფოლიო პროექტებში არსებულ მიდგომებსა და სტანდარტებზე გარემოსდაცვით და სოციალური საკითხების მიმართ. ახალქალაქი ჰესის წარმომადგენლებმა კი დამსწრე საზოგადოებას გააცნეს პროექტის ფარგლებში გარემოსდაცვითი და სოციალური პროგრამა, მისი არსი და განხორციელების პოლიტიკა.

„დღეს, დიდი სიამოვნებით ვმასპინძლობთ ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვან სტუმრებს ახალქალაქის ჰიდროელექტროსადგურზე. გვსურდა, გვეჩვენებინა ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე სტანდარტებით აშენებული და სულ რაღაც 2 კვირის წინ ექსპლუატაციაში შესული სადგური „ბახვი ჰესის“ მრჩეველთა საბჭოსთვის და რეგიონში ყველაზე აქტიური არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის. ერთ-ხელ ნანახი ასჯერ მოსმენილს სჯობია ნამდვილად. ვფიქრობ, ახლა უფრო ცხადი იქნება დაინტერესებული მხარეებისთვის წარმოიდგინონ ჩვენს მიერ ბახვი ჰესის პროექტების განხილვებისას არაერთხელ ნახსენები დასავლური სტანდარტი და უმკაცრესი გარემოსდაცვითი და სოციალურ საკითხების მმართველ-ობის პოლიტიკა, რომელსაც ვიყენ-ებთ თითოეულ პროექტში და რომელიც ჩვენი, ასე ვთქვათ, განმასხვავებელი ნიშანია“- — განაცხადა ბახვი ჰესის დირექტორმა გიორგი აბრამიშვილმა.

კავკასიის განახლებადი ენერგიის ჰოლდინგი (CCEH) არის საერთაშორისო საინვესტიციო კომპანია, რომელიც დაარსდა 2015 წელს და წარმატებით ოპერირებს საქართველოს ბაზარზე. მისი პორტფელი მოიცავს როგორც მოქმედ ჰიდროელექტროსადგურებს („ლახამი ჰესი“, „ახალქალაქი ჰესი“, „ბახვი 3 ჰესი“, „აჭი ჰესი“ და „ინწობა ჰესი“) ასევე, წინასამშენებლო ეტაპზე არსებული პროექტებს („ბახვი 1“ და „ბახვი 2“ ჰიდროელექტროსადგურები). კომპანიისთვის განსაკუთრებულად მნიშნელოვანია პროექტების გარემოსდაცვითი და სოციალური ასპექტების სწორი და თანამედროვე მიდგომებით მართვა. სწორედ ამიტომ, საქმიანობის განხორციელებისას იყენებს საერთა-შორისო ფინანსური ინსტიტუტების - IFC-ისა და EIB-ს გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების მართვის სტანდარტებს, რომელიც ფართოდ არის მიღებული და აღიარებულია დასავლური სამყაროს მიერ.

დაფინანსებული ფართი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე აირჩია

მას შემდეგ, რაც საკრებულოს ბიურომ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე ინფორმაცია ცნობად მიიღო, საკრებულომ ფარული კენჭისყრის გზით კომისიის თავმჯდომარის არჩევნები გამართა.

საკრებულოს 9 წევრის ინიციატივით, კომისიის თავმჯდომარის კანდიდატი გელა ჩავლეშვილი, საკრებულომ 24 ხმით აირჩია.

„საღამო ჟასმინის არომატით“

„საღამო ჟასმინის არომატით“ — ასე ერქვა საღამოს, რომელიც კულტურის ცენტრში გაიმართა. ფოლკლორის განყოფილების ხელმძღვანელმა მაია ჭანტურიამ ნინიკო მშვიდობაძის ლექსები გააცნო საზოგადოებას და ასევე მისი ბიოგრაფიიდან საინტერესო ისტორიები გაიხსენა. ღონისძიებას ლანჩხუთის მერი ალექსანდრე სარიშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, პოეტის მეგობრები და კოლეგები ესწრებოდნენ.

ნინიკო მშვიდობაძე არაერთი კონკურსის გამარჯვებული და ფინალისტია. ის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატია.

თხილის წარმოების ხელშეწყობის პროგრამაში რეგისტრაცია დაიწყო

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, თხილის წარმოების ხელშეწყობი ახალი სახელმწიფო პროგრამა ამოქმედდა.

უწყების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, მეთხილე ფერმერებმა, ფინანსური დახმარების მისაღებად, 2022 წლის 7 ნოემბრიდან 2023 წლის 31 იანვრამდე უნდა მოახდინონ თხილის ბაღების რეგისტრაცია თხილის კადასტრში.

„თხილის კადასტრის სამუშაო ჯგუფის წარმომადგენელთა სოფლებში ვიზიტი დაგეგმილია შესაბამისი გრაფიკით. უახლოესი ერთი კვირის გრაფიკის შესახებ ინფორმაცია, კონკრეტული რეგიონის, სოფლისა და ვიზიტის თარიღის მითითებით, ხელმისაწვდომია სოფლის განვითარების სააგენტოს ვებგვერდზე, აღნიშნული ინფორმაცია განახლებადია ყოველ ოთხშაბათს.

სუბსიდიის მისაღებად, საქართველოს მოქალაქე, ფიზიკურ პირს საკუთრებაში ან/და ფაქტობრივ მფლობელობაში უნდა გააჩნდეს თხილის ბაღი ჯამურად არანაკლებ 0.2 ჰა არაუმეტეს 3 ჰა. სუბსიდიის მოცულობა განისაზღვრება 500 ლარით 1 ჰა თხილის ბაღზე გადაანგარიშებით.

პროგრამაში ჩართულ ბენეფიციარებზე სუბსიდიის გაცემა მოხდება ლიბერთი ბანკის აგრობარათზე შესაბამისი ქულების დარიცხვით. ქულების დარიცხვა დაიწყება 2023 წლის გაზაფხულზე. სპეციალიზებულ აგრომაღაზიებში დარიცხული ქულების გამოყენების ბოლო ვადაა 2023 წლის 31 აგვისტო.

პროგრამა ხორციელდება საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში, გარდა თვითმმართველი ქალაქებისა.

თხილის წარმოების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის შესახებ დეტალური ინფორმაცია განთავსებულია სოფლის განვითარების სააგენტოს ვებგვერდზე - **www.rda.gov.ge**“, - ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

ძველი ოზურგეთის ქრონიკები

რუსთაველის ქუჩა

რუსთაველის ქუჩას ადრე ლაშეს, ფილიპე მახარაძის, სტალინის, მშვიდობის ქუჩა ერქვა.

ლაშეს ქუჩა

სახელწოდება ლაშეს ქუჩა დაფიქსირებული აქვს ოზურგეთის მკვიდრს **დავით შარაშენიძეს** მის მიერ შედგენილ ოზურგეთის სქემატურ გეგმაზე. (შედგენილი 1905 წლის მდგომარეობით) თვით სახელწოდება ლაშე დაკავშირებული უნდა იყოს მლაშე წყალთან,რომელიც ამ უბანში იყო და მოიცავდა ტერიტორიას ყოფილი პურკომბინატის, ყოფილი გაგარინის, ლაშეს ქუჩას ქურამიშვილის და აღმაშენებლის ქუჩას კვეთს და ზემოთ ბოხვაურის გადასახვევამდე. ამ დიდ უბანში ლაშეში შედიოდა გაკირული უფრო პატარა უბანი და მას **ლაშე - გაკირულს** უძახოდნენ.ახლა თვით ქუჩის შესახებ: 96 წლის აწ განსვენებულმა ქალბატონმა **ზინა სალუქვაძემ** მიამბო ასეთი ლეგენდა: პურკომბინატთან ცხოვრობდა მიხეილ ბოლქვაძე, მეუღლესთან და შვილებთან ერთად, ეზოში კამკამა წყარო მოდიოდა, ერთხელაც ელენეს – მიხეილის მეუღლეს პეშვით წყარო აუღია წყაროდან და უთქვამს რა „მლაშე“ წყალიაო.

ამ ოჯახის შვილიშვილი ქალბატონი **მანანა ბოლქვაძე** კი დეტალურად გადმოგვცემს: –ბაბუაჩემი, მიხეილ ბოლქვაძე ,რომელიც სხვადსხვა საპასუხიმგებლო პოსტებზე მუშაობდა 1937 წელს ოზურგეთში გადმოიყვანეს საცხოვრებლად გამოუყვეს „ლაშეს აბანოს“ შენობა.1950 წელს მამაჩემმა **ბორის ბოლქვაძემ** შექმნა ოჯახი და გააფართოვა საცხოვრებელი .ასე, რომ აბანოები მოექცა შენობის ქვეშ, რაც მახსოვს მთელი წლები მუდმივ შიშსა და აუხდენელ სახლის ოცნებაში გავატარეთ, ვინაიდან სახლი ქალაქის საბჭოს ბალანსზე ირიცხებოდა, აშენების მოთხოვნაზე კი სულ უარს გვეუბნებოდნენ, ამასთან მუდმივად შეწუხებული ვიყავით შეკითხვებით აბანოს შესახებ. მამაჩემისაგან გამიგონია წყალი იყო მლაშე, კურნავდა მალარიას, ციებას, სხეულზე გამონაყარს, რევმატიზმს, აკაჟებდა ორგანიზმს. 1980 წელს მივაღწიეთ აშენების ნებართვას, როცა ძველი სახლი დაიშალა ჩემი თვალით ვნახე სამი დიდი წყლით სავსე აუზი .ამოშენებული იყო რიყის ქვისაგან. გვერდების სისქე 30-35 სმ.იქნებოდა, ხოლო აუზების მიერთების ადგილი 60-70 სმ.აუზში ჩადგმული იყო მუხის კიბე 1,70 მ. სიმაღლის. კიბე იყო ახალივით მყარი და კრიალა. აბანოს ჰქონდა გამო - სასვლელი არხი სახლის ქვემოდან და უკანა გზის გავლით გადაედინებოდა ყოფილი აბრეშუმის ფაბრიკის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩამავალ მდინარეში.ეს მდინარე ჩოხატაურიას ქუჩიდან მოემართებოდა, მოსახლეობის ეზოებში ჩავლით აბრეშუმის ფაბრიკისკენ (*ეს მდინარე სკუჩაა მ.ლ.*) გასული საუკუნის 90-იან წლებში დავინტერესდი, მივმართე ფირმა „გულისტანის“ თურქ ინვესტორებს საუბარი იყო 20 000 დოლარად შესყიდვაზე თუ ჩვენ დავუდებდით დასკვნას წყლის ვარგისიანობის შესახებ.სინჯები გავგზავნთ თბილისში, ბალნეოლოგიურ ლაბორატორიაში, მაგრამ ადგილმდებარეობის იდენტიფიცირებისათვის სინჯები თვით ლაბორატორიის მიერ უნდა ყოფილიყო აღებული, რაც ხარჯებთან იყო დაკავშირებული . შემდეგ ეს საკითხი მინელდა .ამჟამად ეს ადგილი ამოვსებულია მიწით და იქ სხვა ოჯახი ცხოვრობს“.

ძალიან სამწუხაროა,რომ ეს ისტორიული უბანი ერთ დროს ცნობილი სამკურნალო მლაშე წყლის აბანოებით დავიწყებას მიეცა და ამჟამად მიწამიყრილი მთლად დადუმებულია. იქნებ ეს საკითხი გამოვაცოცხლოთ და მოვძებნოთ ინვესტორი, ვინც ხელს მოკიდებს ამ საქმეს და ჩვენს ქალაქს შემატებს ერთ სამკურნალო ობიექტს.

მლაშე აბანოს არსებობის ფაქტს ადასტურებს და ამდიდრებს 1952 წელს ოზურგეთში ჩამოსული უკვე ხანდაზმული საბავშვო მწერალი და საზოგადო მოღვაწე **ნინო ნაკაშიძე:** –„ მე ვერ მოვითმინე არ მენახა ,ის ადგილი, სადაც ჩემი მშობლები ცხოვრობდნენ, ჩემი სოფელი ღანუელი, რომლისაკენ მიმავალი გზა ზამთრობით ყოველთვის ატალახებული იყო, ზაფხულობით კი ურმისა და ეტლების ბორბლებისაგან ღრმად დაღარული, ოღრო-ჩოღროდ დასერილი გამხმარი ტალახის ფხვიერი გზა მიემართებოდა, ახლა კი გზაზე მისრიალებდა ჩვენი ტაქსი.ამ გზის მარცხენა მხარეს მთელ მოდამოში ერთი თაყა სალუქვაძის ორსართულიანი საუკეთესო ოდის იქით დიდ მინდორში გავედით, მაგრამ ამ მინდორში ახლა თაყას სახლი შეუმჩნეველი რჩებოდა, რადგანაც აბრეშუმის ფაბრიკა გოგუნებდა და მისთვის საჭირო შენობები აღმართულიყო. (*როგორც გამოვაკვლიე თაყა სალუქვაძის სახლი ლაშის ქუჩაზე,ამჟამად რუსთაველის ქუჩაზე იდგა ნინო ნაკაშიძის მინიშნებითაც ფაბრიკის მარცხენა მხარე გასაგებია მ.ლ.).*

ქარხნის ზემოთ დავინახე ის აბანო ე.ი. პატარა მლაშე ცივი ტბა, რომელიც ყოველთვის თავახდილი იყო. ციებით შეპყრობილი ავადმყოფები ბანაობდნენ შიგ. ამბობდნენ ციებას არჩენსო.არ ვიცი მართლა არჩენდა თუ არა, მაგრამ ყოველთვის ბევრი ხალხი იყო. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამ აბანოდან, რაღაც ერთ კილომეტრში 1957 წელს თეატრალური მოედნის რესტავრაციის დროს ყოფილი სტალინის მოედნისა და ყოფილი ცხაკაიას ქუჩის კვეთაში აღმოჩენილ იქნა აბანოს ნაშთები, საინტერესოა თბილისიდან მოწვეული ცნობილი არქეოლოგ **ნინო ხოშტარიას** ვრცელი ინფორმაციიდან ერთი ცნობა:“ადგილობრივ მცხოვრებთა გადმოცემით, აბანოს ტერიტორიის სამხრეთით ჩამოუდიოდა მდინარე ბჟუჟი, რომელიც შემდეგ გადაუშვიათ სხვა კალაპოტში, ეს საჭიროებს შესწავლას, თუ ზემოთ თქმული სწორია, აბანოს მდებარეობა სავსებით ბუნებრივი იქნებოდა. არ არის გამორიცხული აბანო მინერალური წყლებისათვის ყოფილიყო გამო-ენებული, ესეც შესწავლას მოითხოვს“(ნინო ხოშტარია).

როგორც გამოირკვა უბანს ლაშე-გაკირული და ქუჩას ლაშე სახელები დაკავშირებული ყოფილა მლაშე წყლების არსებობასთან, გამოიკვეთა სამი ლოკაცია:ყოფილი პურკომბინატის მიმდებარე ტერიტორია, ყოფილი აბრეშუმის ფაბრიკის ზემოთ და სავარაუდოდ ოზურგეთის ცენტრში ყოფილი ძველი აბანოს მიმდებარე.ოზურგეთში კერძოდ ნასაკირალში სამკურნალო წლების არსებობა ისედაც ცნობილია დღეს ,დავიწყებული და განადგურებული კურორტის არდგენაზე რამდენადაც ვიცი მიმდინარეობს ინვენსტორების მოძიება.

სტალინის ქუჩა

იოსებ ბესარიონის ძე სტალინი(ჯუღაშვილი) დაიბადა 1879 წელს გორში. დაამთავრა გორის სასულიერო სემინარია და შევიდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. ამიერკავკასიაში მცხოვრები მარქსისტების გავლენით ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში.არალგალურ წრეში.

სტალინი იყო „მესამე დასის“ წევრი. ეწეოდა მარქსისტული იდეების პროპაგანდას თბილისის რკინის-გზის მთავარი სახელოსნოების მუშებს შორის.

1899 წელს რევოლუციური მოღვაწეობისათვის სემინარიიდან გარიცხეს, რის შემდეგ არალეგალურად დაიწყო ცხოვრება და პროფესიონალური რევოლუციონერი გახდა. შედიოდა რსდმპ თბილისის კავკასიის კავშირის და ბაქოს კომიტეტის შემადგენლობაში,მონაწილეობდა გაზეთების „ბრძოლის“, „პროლეტარიატის ბრძოლის“, „ვუდოკის“, „ბაკინსკი რაბოჩის“ გამოცემაში. იყო 1905-07 წწ.რევოლუციის აქტიური მონაწილე ამიერკავკასიაში. იყო რსდმპ პირველი კონფერენციის დელეგატი ტამერფოსში (1905),.

რევოლუციური მოღვაწეობისათვის არაერთხელ იყო პატიმრობასა და გადასახლებაში. მონაწილეობდა რსდმპ ცკ-ის თათბირში. .

1913 წელს დააპატიმრეს და გადაასახლეს ტურუხანსკის ოლქში.

1917 წლის მარტში დაბრუნდა პეტროგრადში, შეიყვანეს რსდმპ ცკ-ის შემადგენლობაში და გაზეთ „პრავდის“ შემადგენლობაში.

აქტიურად მონაწილეობდა 1917 წლის ოქტომბერში სოციალისტური რევოლუციის მომზადებასა და გამარჯვებაში.

1919-1922 ხელმძღვანელობდა სახელმწიფო სახალხო კომისარიატს.

სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ აქტიურად მონაწილეობდა პარტიის ბრძოლაში სახალხო მეურნეობის აღდგენისა და ახალი ეკონომიური პოლიტიკის განხორციელებისათბის.

1923 წელს პარტიის XII ყრილობაზე გამოვიდა მოხსენებით „ეროვნული მომენტები“ პარტიულ და სახელმწიფო მშენებლობაში“.

1941 წელს დაინიშნა სახკომ საბჭოს თავმჯდომარედ, 1941 წლის 30 ივნისს თაბდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯომარედ. როგორც საბჭოთა სახელმწიფოს მეთაური მონაწილეობდა 3 სახელმწიფოს : სსრკ-ის, აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის თეირანის, (1943), ყირიმის (1945) და პოცდამის (1945) კონფერენციებში.ომის შემდგომ პერიოდში სტალინი განაგრძობდა მუშაობას პარიის გენერალურ მდივნად.

გარდაიცვალა 1953 წელს. დაკრძალულია მოსკოვში წითელ მოედანზე.

შოთა რუსთაველი

შოთა რუსთაველის ქუჩა იწყება თეატრალური მოედნიდან და გრძელდება ნემიროვიჩ-დანჩენკოს ქუჩამდე.ქუჩას რუსთაველის სახელი უწოდეს 1991 წელს.

შოთა რუსთაველის(XII-XIII სს.) ჩვენამდე მოღწეული ერთადერთ პოემა „ ვეფხისტყაოსანში“ გამოხატულია ქართველი ერის უმაღლესი იდეალები .

სახლი „რუსთაველი“ უკავშირდება გეოგრაფიულ პუნქტს-რუსთაველს და ნიშნავე რუთავის მკვიდრს. ანუ რუსთავის ციხე-ქალაქის მეპატრონეს. ყოფილა თამარ მეფესთან დაახლოებული პირი, გამოთქმულია მოსაზრება,რომ შოთა რუსთაველი სიცოცხლის ბოლო წლებში გაემგზავრა იერუსალიმში და იქვე აღესრულა .გადმოცემით პოეტი მესხი უნდა ყოფილიყო.

„ვეფხისტყაოსნის“ მთელი სიუჟეტი და მისი იდეური შინაარსია სიყვაული, ძმობა და მეგობრობა.პოეტი გვასწავლის,რომ უშრომელად და უმსხვერპლოდ წარმატების მოპოვება შეუძლებელია.

„ვეფხისტყაოსანში“ სრულყოფილად არის წარმოდგენილი იმდროინდელი საქართველოს, რეალური სინამდვილე, როცა ქალის უფლებისა და ღირსების საკითხი საზოგადოების ყურადღების ცენტრში იყო, პოეტი გადმოგვცემს პიროვნების , აზრისა და გრძნობის თავისუფლებას.

1966 წელს იუნეკოს გადაწყვეტილებით მსოფლიო მასშტაბით აღინიშნა შოთა რუსთაველის იუბილე.პოემასა და მასთან დაკავშირებული პრობლემატიკას სწავლობს მეცნიერების დარგი-რუსთველოგია.1965 წელს დაარსდა შოთა რუსთაველის სახელობის პრემია ,რასაც ლიტერატურისა და ხელოვნების საუკეთესო წარმომადგენელს ანიჭებენ.

მანანა ლომაძე

ოზურგეთის სამუზემო

გაერთიანების ფონდების მცველი

რამინ მიქაბერიძის საღამო ჩოხატაურში

ჩოხატაურის მერიისა და საკრებულოს ორგანიზებით, ხელოვნების სასახლეში, საქართველოს დამსახურებული არტისტის, ღირსების ორდენის კავალერის, მომღერლისა და ლოტბარის, **რამინ მიქაბერიძის** შემოქმედებითი საღამო გაიმართა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ გურიის მაჟორიტარი დეპუტატი **ვასილ ჩიგოგიძე,** ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი **დავით შარაშიძე,** საკრებულოს თავმჯდომარე **ირაკლი კუჭავა,** სამხარეო ადმინისტრაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელი პირები.

–„*ბედნიერებაა, რომ ჩოხატაურს ჰყავს ასეთი საამაყო ქართველი, გენიალური ნიჭის მქონე პიროვნება, ქართული მუსიკალური მემკვიდრეობის გამგრძელებელი.*

აღსანიშნავია, რომ ღვაწლმოსილი მომღერლის გზას ღირსეულად აგრძელებს რამინ მიქაბერიძის შთამომავლობა. დღეს განსაკუთრებით ემოციური იყო სამი თაობის ხილვა სცენაზე.

მადლობა თქვენ ქართული კულტურის წინაშე გაწეული ღვაწლისთვის ხალხური სიმღერის შენარჩუნებისა და ახალი თაობისთვის გაზიარების საქმეში.

რამინ მიქაბერიძეს დღეს საპატიო ჩოხატაურელის წოდება მივანიჭეთ და ვუსურვებთ, რომ კიდევ დიდხანს იყოს ქვეყნისა და ჩოხატაურის სამსახურში.“– განაცხადა ჩოხატაურის მერმა დავით შარაშიძემ.

ამბავი დიმიტრი ერისთავისა და ილიას ერთადერთი ურთიერთობისა

დიდებულ ადამიანზე უნდა მოვყვე და ეს დიდებული ადამიანი **დიმიტრი ერისთავია**.

გურული მკურნალი და მწერალი!

დიდი ბიოგრაფიის, ჩემი აზრითაც, დავიწყებული კაცი!

რატომ „ჩემი აზრითაც“...

ამაზე ცოტა ქვემოთ...

ახლა „მატიანე“ უნდა ჩამოვსქროლო შესაბანის გვერდზე.

„1887 5 აგვისტო

გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მოწინავეს თარიღით „ტფილისი, 4 აგვისტო“ („ამას წინად გაზეთ „ნოვოე ობოზრენია”-.ში..“). მწერლის თხზულებათა ოცტომეულში დაიბეჭდა სათაურით „მკურნალი დ. ერისთავი“.

შესაბამის გვერდზე წყაროცაა (გაზ. „ივერია“, 1887, 5 აგვისტო, 161, გვ. 1; ი. ჭავჭავაძე, თსკ ოც ტომად, ტ. 9, თბ., 2006, გვ. 521.) მითითებული და მომცრო ბიოგრაფიაც (ერისთავი დიმიტრი კონსტანტინეს ძე (1862-1924) – ექიმი, ლიტერატორი, საზოგადო მოღვაწე. ოზურგეთში სასწავლებლისა და აფთიაქის გახსნის მოთავე.)

„ივერიაშიც“ ჩავიხედავ, ილიას მე-9 ტომსაც გადავშლი და ბიოგრაფიასაც, რომ იტყვიან უფრო გავშლი, თუმცა მანამდე აუცილებლად ბიოგრაფიიდან ერთი დეტალი მინდა გავახსენო/გავაცნო „ალიონის“ მკითხველს: „უმაღლესი განათლების მისაღებად კიევის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე ჩააბარა, რომელიც 1886 წელს დაამთავრა და სამშობლოში დაბრუნდა“.

დამეთანხმეთ, მართლაც რომ საგულისხმო ფაქტია.

დღეს, რომ უნდა გაითვალისწინო ისეთი!

„მკურნალი დ. ერისთავი“.

ტფილისი. 4 აგვისტო

ამას წინად გაზეთ «ნოვოე ობოზრენია»-ში დაბეჭდილი იყო ერთის ახალგაზრდა მკურნალის ბ-ნი ერსთავის ფრიად საყურადღებო წერილი. რადგანაც იგი წერილი ჩვენს გაზეთში მთლად დაბეჭდილი არა ყოფილა, ამიტომაც საჭიროდ ვრაცხთ იმის შინაარსი შემოკლებით მოვახსენოთ მკითხველს და ამით გავუადვილოთ იმ წერილის მნიშვნელობის აწონვა და დაფასება. აი, საქმე როგორა ყოფილა. მკურნალი ბ-ნი დ. ერისთავი ახლად სწავლაშესრულებული კიევის უნივერსიტეტში, დაბინავებულა ოზურგეთის მაზრაში და კერძოდ მკურნალობა დაუწყვია, რათა თავისი ცოდნა და სწავლა თავისათვისაც გამოეყენებინა და თავის თანამოძმეთათვისაც. ამ კარგსა და პატიოსანს განზრახვას ერისთვისას უეცრივ ბოლო მოეღო, რადგანაც გუბერნიის მკურნალმა საჭიროდ სცნო ერისთვისათვის მკურნალობა აღეკრძალა იმის გამოისობით, რომ ერისთავს არ შეუსრულებია ერთი მუხლი სამკურნალო წესდებისა. ეს მუხლი კი იმას ამბობს, რომ ყოველი კერძოდ მოსაქმე მკურნალი ვალდებულია მთავრობას შეატყობინოს ყოველივე საჭირო ცნობანი თვისის ვინაობისა, ე.ი. სად და როდის შეუსრულებია სწავლა, რის დასამტკიცებლად საჭირო საბუთები უნდა წარადგინოს. ამ მუხლის ძალით გუბერნიის მკურნალს განკარგულება მოუხდენია იმის შესახებ, რომ ოზურგეთის მაზრის აფთიაქებში წამალი არ აძლიონ ავადმყოფებს ერისთავის რეცეპტით ე.ი. ერისთავს აღეკრძალა ოზურგეთის მაზრის მკვიდრთა წამლობა. იმ მუხლის აზრი მხოლოდ ისაა, რომ მთავრობას ნება აქვს თვითვეულს თავისუფალად მოსაქმე მკურნალს მოსთხოვოს ყოველივე საჭირო ცნობანი მისის ვინაობისა. ამ მუხლის შესრულების მაგიერ კი გუბერნიის მკურნალმა წამლობა მოაკლო მთელის მაზრის მკვიდრთა თითქმის ერთს მესამედს.

ბ-ნი ერისთავი უეჭველია თვის უფლებას ამ ცოტას ხანში აღადგენს იმავე სამკურნალო წესდების ძალით, ბ-ნი გუბერნიის მკურნალიც ინებებს და მოახდენს განკარგულებას იმის შესახებ, რომ ოზურგეთის მაზრის აფთიაქებმა წამლები დაუბრკოლებლივ აძლიონ ავადმყოფებს ერისთავის რეცეპტით. ასე და ამგვარად საქმე ერისთავისა და ოზურგეთის მაზრის მკვიდრთა სასიამოვნოდ დატრიალდა და გუბერნიის მკურნალი კანონებისამებრ მოიქცევა.

ეს ამბავი მოხდა მაშინ, როცა ოზურგეთის მაზრა იყო, სახელდობრ, იმ ყოფაში, რომელიც ითხოვდა სხვა მკურნალების მოწვევასაც ხალხის საშველად და არა იმის დათხოვნას, ვინც ხალხს შველოდა და წამალსა სდებდა. მაშინ კორრესპონდენტების სიტყვისამებრ, ოზურგეთის მაზრაში სენი ისე გა-ძლიერებული იყო, მარტო ერთი მკურნალი მაზრისა ვერასგზით ვერ გაუძღვებოდა თუნდ რომ ხალისი და გულისმტკინვეულობა დიდიც ჰქონოდა. მაზრის მკურნალი, რომლის მუდამი ბინა მაზრის ქალაქია, სიმრავლეს ავადმყოფებისას ვერ გაწვდებოდა... ამისთანა შემთხვევაში მეორე მკურნალი, მერე ხალხთან ახლო მცხოვრები, სწორედ მანანაა ცისა გაჭირებულს დროს“.

„ცისა გაჭირებულს დროს“, სწორედ ასე მთავრდება ილიას წერილი.

მთავრდება და უამრავ საფიქრალს გიჩენს ადამიანს, მით უფრო გურულს.

ფიქრს „მაზრის მკურნალზე“ და მაზრაზე, რომელშიც „სიმრავლეს ავადმყოფებისას ვერ გაწვდებოდა... „მეორე მკურნალი, მერე ხალხთან ახლო მცხოვრები, სწორედ მანანაა ცისა გაჭირებულს დროს“.

ვზივარ ახლა „კომპთან“ და ასე „უამრავ ფიქრგაჩენილი“ გადავდივარ დიმიტრი, იგივე ტიტიკო ერისთავის ბიოგრაფიაზე.

სად?!

სად თუ არა ეროვნული ბიბლიოთეკის „ბიბლიოგრაფიული ლექსიკონის“ შესაბამის გვერდზე.

დაბადების თარიღი: 9 თებერვალი, 1859

გარდაცვ. თარიღი: 5 დეკემბერი, 1924 (65 წლის ასაკში)

დაკრძალვის ადგილი: ოზურგეთი, საკუთარი სახლის ეზო

კატეგორია: ექიმი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე

ბიოგრაფია

დიმიტრი ერისთავი დაიბადა 1859 წელს ოზურგეთის მაზრის სოფელ გორაბე-რეჟოულში ერისთავების სასახლეში. საშუალო განათლება ქუთაისის გიმნაზიაში მიიღო და უმაღლესი განათლების მისაღებად კიევის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე ჩააბარა, რომელიც 1886 წელს დაამთავრა და სამშობლოში დაბრუნდა.

მწერლობა დიმიტრი ერისთავმა 1878 წელს დაიწყო. გაზეთ „დროებასა“ და „ივერიაში“ აქვეყნებდა ლექსებს, მოთხრობებს და თარგმანებს. იგი თავის ნაწერებში ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრებას და საზოგადოებრივ უსამართლობას ეხებოდა.

დიმიტრი ერისთავი მსახურობდა თბილისის მიხეილის საავადმყოფოში, 6 წელი სოფელ ქსენონში და ბოლოს, 1900-1914 **წლებში გახლდათ გურიის მაზრის ექიმი. იგი იყო პირველი, ვინც კვალიფიციურ ქირურგიულ დახმარებას უწევდა გურიის მოსახლეობას. მისი თაოსნობით ქალაქში გაიხსნა პირველი აფთიაქი.**

1910-იან წლებში ერისთავი ქალაქის საკრებულოს წევრი და ქალაქის თავი გახლდათ. 1914 წელს ქუთაისში გამართულ ერთ-ერთ მეჯლისზე, მან ხელი არ ჩამოართვა ქუთაისის გუბერნატორ სლავოჩინსკის, რის გამოც იგი თანამ-დებობიდან გაათავისუფლეს, ჯერ რაჭაში, ხოლო შემდეგ შორაპნის მაზრაში გადაასახლეს და ერთი წლის შემდეგ დააბრუნეს ოზურგეთში.

1916 **წლიდან დიმიტრი ერისთავი გახლდათ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ოზურგეთის განყოფილების დაარსების ინიციატორი,** მისი ნამდვილი წევრი და გამგეობის თავმჯდომარე.

1916 **წელს ერისთავმა საკუთარ სახლში, მაზრაში პირველი საავადმყოფო გახსნა, რომელიც ერისთავის ეზოში 1979 წლამდე მოქმედებდა და სადაც შემდეგ ბავშვთა საავადმყოფო განთავსდა.**

1916-1917 წლებში, ექიმობასთან ერთად, ოზურგეთის მოურავის მოვალეობასაც ასრულებდა. რევოლუციის დროს არჩეული იქნა აღმასკომის თავმჯდომარედ, შემდეგ ოზურგეთის დემოკრატიული საბჭოს წევრთავმჯდომარედ და ბოლოს გახლდათ ოზურგეთის სამაზრო ერობის ხმოსანი.

დიმიტრი ერისთავი გარდაიცვალა 1924 წელს და დაკრძალეს ოზურგეთში, საკუთარ ეზოში. აქვე არის გამოკრული მემორიალური დაფა წარწერით: „აქ, მის მიერ აგებულ საავადმყოფოში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ოზურგეთის მაზრის ექიმი დიმიტრი კონსტანტინეს ძე ერისთავი, 1862-1924“

ორგანიზაციის, ასოციაციის ან ჯგუფის წევრი

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, საზოგადოების ოზურგეთის განყოფილების გამგეობის თავმჯდომარე (1916-)

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, საზოგადოების ოზურგეთის განყოფილების ნამდვილი წევრი (1916-)

ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონი" : იოსებ იმედაშვილი // II ტომი. - თბილისი, ეროვნული ბიბლიოთეკის გამომცემლობა, 2021. - გვ. 63“.

არსებობს დიმიტრი ერისთავის მიერ აგებული საავადნყოფო ოზურგეთში?

არსებობს მემორიალური დაფა ბიოგრაფიაში ნახსენები წარწერით?

ვაღიარებ არ ვიცი...

იმასაც ვაღიარებ ძალიან მრცხვენია და მაინც, ახლა „ვერაფერს გავაწყობ“.

რასაც აუცილებლად გავაკეთებ ახლახან გარდაცვლილი, არაჩვეულებრივი გურულის **იური სიხარულიძის** (ნათელი და სანთელი არაჩვეულებრივ ადამიანსა და მეცნიერს!) წერილს დავურთავ „ამბავს“.

წერილი „საქართველოს ბიბლიოთეკაში“ და დიმიტრი ერისთავის 150 წლის იუბილეს ეძღვნება.

„დიმიტრი ერისთავი - ღვაწლმოსილი მკურნალი და შემოქმედი

დიმიტრი კონსტანტინეს ძე ერისთავი 1862 წელს დაიბადა გორაში, (ოზურგეთის მაზრა, ჩოხატაურის უბანი), მამამისის გუბაზეულის პირას მდებარე სასახლეში, იქვე აიდგა ფეხი და ცხოვრების შეცნობის პირველი ნაბიჯებიც იქ გადადგა.

პატარა დიმიტრი კონსტანტინე ერისთავის და ივლიტე ნაკაშიძის მაღალგანათლებულ ოჯახში, თავისი ნიჭიერების წყალობით, მრავალ სიკეთეს ეზიარა. ათი წლისა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში მიაბარეს. ამ დროსვე მიდის ქუთაისს ექვ. თაყაიშვილიც.

გიმნაზიის წლები მან ექვთიმესა და ნიკო მარის გვერდით გაატარა და მათებრ მოწინავე გიმნაზიელი გახლდათ, თუმცა სულ სხვა მხრით ჰქროდა მისი ოცნება. ეს გახლდათ სამედიცინო განათლება, რათა უფრო მეტი სამსახური გაეწია თავისი ხალხისათვის. ამის დასტური ისიცაა, რომ კიევის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მან უარი განაცხადა საპროფესოროდ მომზადებაზე დასარჩენად და გურიას მიაშურა.

ახალბედა ექიმი სოფ. ნაგომარს გაამწესეს და ხალხის სიხარულიც უსაზღვრო აღმოჩნდა. იმ დროს არა თუ გურიაში ექიმი, სანთლით



საძებარი იყო მთელ საქართველოში.

ეს იყო 1886 წელს.

მაშინ ახალბედა ექიმი 24 წლის გახლდათ. მომდევნო 9 წელს ის უწყვეტად მუშაობდა გურიაში და თავის ნაყოფიერ სამკურნალო პრაქტიკასთან ერთად, სალიტერატურო ფრონტზეც ენერგიულად იღვწოდა. ამას მოწმობს ***მისი მშვენიერი მოთხრობების პირველი კრებული „ნაძვთეგი,“ რომელიც 1891 წელს დაიბეჭდა.***

მას, როგორც დამწყებ მწერალს, აქამდეც იცნობდნენ პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული ცალკეული მოთხრობით, მაგრამ ერთობლივად თავმოყრილმა ამ შემოქმედებამ უფრო სრული წარმოდგენა შეუქმნა მოწინავე საზოგადოებას ახალგაზრდა მწერლის ნიჭიერებაზე.

დ. ერისთავმა ისეთი ბრწყინვალე ნიჭის კრიტიკოსის ყურადღებაც მალე მიიპყრო, როგორიც ალექსანდრე წულუკიძე (1876-1905) ბრძანდებოდა.

ზოგიერთი კრიტიკოსი დ. ერისთავის შემოქმედებაში ევნატეს გავლენასაც უსვამს ხაზს, მაგრამ ეს უფრო დროისა და მსოფლმხედველობის ერთიანობით უნდა აიხსნას, ვიდრე გავლენით. კრიტიკოსები ჩვენს შესანიშნავ შემოქმედს არც შემდეგ დაკლებია, მისი მემკვიდრეობისათვის პროფესორმა ალექსანდრე ხახანაშვილმაც (1864-1912) კი მოიცალა. პროფესორი შემოქმედს „ცოტა“ სიმართლესა“ და „ჩაუღრმავებლობაზეც“ მიანიშნებს, მაგრამ ეს გარემოებანი მნიშვნელოვან ჩრდილს მაინც ვერ ჰფენენ ჩვენი გულმხურვალე და ლაღი მწერლის მემკვიდრეობას.

დ. ერისთავი ლექსებსაც წერდა. მწერლის შემოქმედების ეს სფერო მისი პროზის სიმაღლისა ვერ არის, მაგრამ მაინც საინტერესოა და ყოველთვის მიიქცევს ამ დაუვიწყარი მწერლის შემოქმედებით დაინტერესებულთა ყურადღებას.

გარდა აქტიური პოლიტიკური და სამწერლო მოღვაწეობისა, დ. ერისთავს სანიმუშო ქართული ოჯახი ჰქონდა. ცოლად ჰყავდა გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწის ოტია დადიანის განათლებული ასული, რომელმაც სამ შვილს (ვახტანგი, თამარ და დარიკო) დიდებული განათლება მისცა.

ღვაწლმოსილი მკურნალი და შემომქმედი 1924 წელს გარდაიცვალა იმავე სოფელში, სადაც 62 წლის წინათ დაიბადა.

დ. ერისთავის ცხოვრება და შემოქმედება, სამწუხაროდ, ვერ არის სათანადოდ დაფასებული, ერთ დროს, მისდამი, საერთოდ, სრულ უგულებელყოფას იჩენდნენ. იგი ქართულ ენციკლოპედიაშია შეტანილი. ეს დაუდევრობა გამოასწორა დავით ნაცვალაძემ, როცა 1986 წელს შესანიშნავი გამოკვლევა უძღვნა მას. ალბათ არც სხვა ლიტერატორები დაიშურებენ სიტყვას ამ მივიწყებული, მაგრამ მშვენიერ შემოქმედსა და საზოგადო მოღვაწეზე.“

მშვენიერო შემოქმედისა და საზოგადო მოღვაწის ერთი წერილი მინდა შევთავაზო „ალიონის“ მკითხველებს.

გიო კილაძე

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება, დასაწყისი „ალიონი“ №24-30

ნათია ვასაძე – ქალთა შორის ოზურგეთის 2022 წლის ჩემპიონი



ოზურგეთის საჭადრაკო კლუბში სამ დღეს გაგრძელდა ქალთა შორის ოზურგეთის 2023 წლის მუნიციპალური საჭადრაკო ჩემპიონატი, რომელშიც გამოცდილმა და ტიტულოვანმა მოჭადრაკეებმა მიიღეს მონაწილეობა.

ქალთა შორის პირველობების ჩატარებას ვჯერ კიდევ 90-იან წლებში დაედო საფუძველი, მაგრამ, მის მიმართ ინტერესი მას შემდეგ განელდა ,რაც სუსტი სქესის წარმომადგენლებმა მამაკაცების „დაჩაგვრას“ სერიოზული ი ხასიათი მისცეს. მართლაც მამაკაცებს შორის ქალებს 7-ჯერ აქვთ მოპოვებული გურიის რეგიონის ჩემპიონობა და 8-ჯერ პრიზიორობა, მაგალითად, მამაკაცთა რაიონული პირველობა 3-ჯერ აქვს მოგებული **ლანა ლომაძეს.** ქალთა რეგიონალურ და მუნიციპალურ პირველობებში, განსაკუთრებულად გამოირჩეოდნენ **ნინო წიტაიშვილი** (შემდგომ ევროპის ვიცე-ჩემპიონი 14 წლამდე ასაკში), **თეა და მაკა კილაძეები, ვერონიკა ჯაში, ლოლიტა კეპულაძე, ნანა ბურჭულაძე, თეონა ვორდელაძე, სუსანა ავაქიანი, , ნანა ძნელაძე, შორენა ზარნაძე, მაია თავაძე მარიამ დარჩია, თამარ ქათამიძე** და ბევრი სხვა. სამწუხაროდ, ნიჭიერ და წარმატებულ მოჭადრაკეთა უმრავლესობა სკოლის დამთავრებისა, თუ დაოჯახების შემდეგ საჭა-დრაკო შეჯიბრებებში არ, ან იშვიათად მონაწილეობდენ.

ძალზე მისასალმებელია, რომ ხანგრძლივი წყვეტის შემდეგ, ჭადრაკს დაუბრუნდა **ლანა ლომაძე** და **თამარ ქათამიძე.** მართალია ეს გარკვეულწილად მათი შვილების ჭადრაკით დაინტერესებამ განაპირობა, მაგრამ ის, რომ ორთავე მალე შევიდა ფორმაში და დღეს მოჭადრაკეთა შორის კონკურენცია მნიშვნელოვნად გაზარდეს, ფაქტია. მართლაც, შარშან გურიის ქალთა ჩემპიონატში ლანამ ვერცხლის მედალი მოიპოვა, ხოლო წელს ფოთის საერთაშორისო ტურნირში ოქრო აიღო. რაც შეეხება თამარს, იგი მართლაც სანიმუშო მაგალითს იძლევა. მისი ბოლო ოფიციალური ტურნირი, 2008 წელს საქართველოს სასკოლო პირველობა იყო, სადაც გურიის რეგიონში გამარჯვებული, 2 საჯარო სკოლის სახელით ასპარეზა და ქუთაისის და თბილისის სკოლებს შემდეგ,მესამე პრიზიორიც გახდა. დღეს იგი ხუთი შვილის დედაა, რომელთაგან უფროსმა, 8 წლის **ლაზარე ჩხარტიშვილმა,** უკვე შეძლო რეგიონს გარეთაც გაეცნო თავი ჭადრაკის მოყვარულებისა და სპეციალისტებისათვის. თამარმა ოფიციალურ შეჯიბრებაში პირველად შარშან ითამაშა და გურიის რეგიონალურში მე-4, საპატიო ადგილზეც გავიდა.

ქალთა წლევადელი ჩემპიონატიც კარგი გამოდგა, რომელიც მალევე მოექცა ჭადრაკის გულშემატკივართა ყურადღების ცენტრში. მის მიმართ ინტერესი კიდევ მეტი იქნებოდა, მოულოდნელად წარმოშობილი მიზეზით, **ლანა ლომაძე** და მოსწავლეთა შორის აბსოლუტური ჩემპიონი **თამარ ასათიანი,** არ გამოკლებოდნენ. მაგრამ შეჯიბრებაში გათამაშებული პარტიების უმრავლესობას სიმწვავე, სილამაზე და სპორტული ემოციები არ აკლდა. რა თქმა უნდა საპრიზო ადგილებისათვის ბრძოლებში, უპირობო ფავორიტები იყო, ქალთა შორის გურიის მოქმედი ჩემპიონი **ნათია ვასაძე** და ბრინჯაოს მედალოსანი **ანა მეგრელაძე,** რომლებსაც სერიოზული ამბიციებით შეუერთდა თამარ ქათამიძე და **ლიზი ვასაძე.** მოჭადრაკეებმა მართლაც კარგი პარტიები გაითამაშეს, რომლებშიც ნათლად წარმოაჩინეს თეორიული ცოდნა და მათი რეალიზაციის პრაქტიკული შესაძლებლობები და უნარი. საათნახევრიან პარტიებში ციტნოტებიც ვიხილეთ და მათგან გამომდინარე რამდენიმე მოულოდნელი შედეგიც, მაგრამ ისიც ვიცით, რომ სწორედ დროის ფაქტორმა აქცია ჭადრაკი სპორტის უკვდავ სახეობად. მაგალითად, **ნათია ვასაძემ** ერთერთი,პრაქტიკულად წაგებული პარტია, ციტნოტში სწორი თამაშით შემოაბრუნა და მოიგო. საერთოდ მან ამ შეჯიბრებაში ყველა პარტიის მოგებით მოიპოვა ჩემპიონობა და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ დიდ ჭადრაკს თამაშობს. ნათიას ნადვილად არ ჰქონია ადვილი მოგებები **თამარ ქათამიძესთან** და **ანა მეგრელაძესთან,** რომლებმაც მას კარგი მომზადებით და თამაშით სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიეს . თამარი და ანა, რომლებსაც ერთმანეთთან ყაიმი ჰქონდათ ნათამაშები, თანაბარი ქულებით მივიდნენ ფინიშთან და ბერგერის კოეფიციენტთან ერთად, დამატებითი კრიტერიუმებიც თანაბარი აღმოაჩნდათ. მეორე ადგილისათვის, მათ შორის დამატებითი პარტიები არ შემდგარა და ვიცე-ჩემპიონის ტიტული ორთავეს მიენიჭა. სამეულს ერთი ქულით ჩამორჩა 13 წლის **ლიზი ვასაძე,** რომელმაც პრიზიორებთან თითქმის თანაბრად ითამაშა და შინარსიანი პარტიებიც ჰქონდა. მას ნამდვილად აქვს იმის შანსები,რომ მომავალში გაცილებით უკეთესი შედეგები აჩვენოს. მითუმეტეს წელს მან ბათუმში ორჯერ აიღო მედალი რესპუბლიკურ ტურნირში.

წარმატებულად უნდა შეფასდეს ჩემპიონატში მოსწავლეების **ანასტასია ხინთიბიძის** და **მარიამ მასარაძის** მონაწილეობა. მათ ეს უფლება წელს რესპუბლიკურ და საერთაშორისო ასაკობრივ შეჯიბრებებში მიღწეული შედეგებით დაიმსახურეს. მწვრთნელები მათი ასაკის ბავშვებში, შედეგზე უფრო პარტიის ხარისხს ანიჭებენ უპირატესობას. ამ მხრივ გოგონებმა, მართლაც დაიმსახურეს ქება.

ზურაბ ანდღულაძე,
გურიის ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარე.

სამგლოვიარო განცხადება

უახლოსი მეზობლები იუწყებიან **ციალა დიმიტრის ასული ცერცვაძე-თავაძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს. დაკრძალვა სამშაბათს, 29 XI. სოფ. თხინვალში.

სკანვორდი



პასუხები:

ჩანთოსანი ცხოველი: ბეგაურანი; ნავი: ბეგეფანი; ანტიკური ქალაქი: ეფესოსი; ბრაზილიური ცეკვა: ბოსანოვა; ლეგენდარული მსატვარი: ლეონარდო; 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელი ფეხბურთში: ეფრემიანი; ანტიკური ქალაქი: ეფესოსი; ანტიკური ქალაქი: ეფესოსი; ბორვალური ტყე: ბეგანიანი; ბორვალური ტყე: ბეგანიანი; ბორვალური ტყე: ბეგანიან

ქართული სოციალ-დემოკრატია რევოლუციის დამარცხების შემდეგ (1906-1907 წწ.)



მრევლი, სამრევლო კრება, სამრევლო საბჭო და კრებული

მრევლი. სამრევლოს გახსნა არ შეიძლება, თუ მორწმუნეთა რიცხვი იმდენათ მცირეა, რომ საკუთარი ტაძრისა და კრებულის შენახვა არ შეუძლია. სამრევლოს უსათუოდ უნდა ჰქონდეს საკუთარი ტაძარი, ხოლო თუ ამავე სამრევლოში სხვა ტაძრებიცაა, იგინი ზედ-მიწერილ ტაძრებად ითვლებიან.

შენიშვნა. მრევლი, როგორც ერთის მიზნით და განსაზღვრული წყობილებით შეერთებული საზოგადოება, იურიდიულს პირს წარმოადგენს.

სამრევლო კრება. სამრევლო კრებას შეადგენს ყველა სრულ-წლოვანი მორწმუნე კაცი და ქალი (არა უმცირეს 21-ს წლისა).

შენიშვნა. ქალს, როგორც მამაკაცს, უფლება აქვს როგორც სხვა აირჩიოს ყოველგვარ საეკლესიო თანამდებობაზე, ისე თვითონაც არჩეულ-იქნას დელეგატად და საბჭოს წევრად.

კრება თვითონვე ირჩევს თავმჯდომარეს და, თუ საჭიროა, საქმის-მწარმოებელსაც. კრება კანონიერია, უკეთუ მასზე მრევლის (სრულწლოვანები იგულისხმებიან) 2/3 მაინც გამოცხადდება; ხოლო თუ კრება პირველ მოწვევაზე ვერ შესდგა, მეორეთ იგი კანონიერია, უკეთუ მას დაესწრება არა უმცირეს მრევლის 1/3-ისა. **არჩევნების დროს** საჭიროა კრებაზე მრევლის 2/3 გამოცხადდეს და არჩეულადაც მხოლოდ ის კანდიდატი ჩაითვლება, რომელსაც ერგება არა უმცირეს ყველა კენჭების 3/4-ისა (თუ საჭიროება მოითხოვს, განმეორებითი კენჭის ყრაც შესაძლებელია. კენჭი ეყრება ორს უკანასკნელ კანდიდატს, რომელთაც ყველა კანდიდატებზე მეტი კენჭი ერგო პირველი კენჭის ყრის დროს). ჩვეულებრივსაქმეებს კი კრება სწყვეტს ხმის უბრალო უმეტესობით. ამავე წეს-რიგს ემორჩილება ყველა სხვა საეკლესიო კრებებიც (საოლქო, საეპარქიო და სრულიად საქართველოსი). სამრევლო კრების კომპეტენციას ეკუთვნის: ა) კრებულის და საბჭოს წევრთა არჩევა; ბ) ეკლესიისა და კრებულის შესანახ ხარჯის მორწმუნეთა შორის შეძლებისადაგვარად გაწერა; გ) სარწმუნოებრივ და ზნეობრივ დანაშაულთათვის მრევლის წევრთა (=მორწმუნეთა) გასამართლება; დ) გასამართლება და სამართალში მიცემა სამრევლო საბჭოს წევრებისა სამსახურის აღსრულების დროს დაუდევრობისა, უფლების აღმატებისა და ბოროტ-მოქმედებისათვის; ე) აღძვრა საქმისა საოლქო, ანუ საეპარქიო საბჭოებისა გინდ კრებათა წინაშე კრებულის წევრთა შესახებ მათი უთანადო მოქმედებისა და ცუდი ყოფაქცევისათვის.

სამრევლო საბჭო. სამრევლო საბჭო შესდგება 5-ს წევრისაგან, რომელთაც სამრევლო კრება ირჩევს ერთის წლის ვადით. თავმჯდომარეს ირჩევენ თვის შორის თვითონ საბჭოს წევრები.

შენიშვნა. საბჭოს წევრებად მრევლს შეუძლია კრებულის წევრნიც აირჩიოს, ყოველს შემთხვევაში, კრებულის წევრთ სამრევლო საბჭოში სათათბირო ხმა მაინც უსათუოთ ეკუთვნისთ. კერძოთ, მღვდელი ამ საბჭოს ხელმძღვანელად ითვლება. საბჭოს აქვს საკუთარი ბეჭედი.

სამრევლო საბჭოს კომპეტენციას ეკუთვნის: ა) საეკლესიო უძრავ-მოძრავ ქონების მართვა-გამგეობა სამრევლოში; ბ) ყოველგვარი სტატისტიკური ცნობების შეკრება, რასაც კი სამრევლოს მართვა-გამგეობისათვის აქვს რაიმე მნიშვნელობა; გ) აკრეფა საეკლესიო გადასახადისა მრევლში და მისი დანიშნულებისამებრ განკარგულება; დ) ზრუნვა ტაძრისა და ღვთისმსახურების კეთილ-მოწყობაზე; ე) ზრუნვა ქვრივ-ობლებსა და ღარიბებზე საქველ-მოქმედო აზრით; ვ) აღძვრა საქმისა იმ პირთა წინააღმდეგ, რომელნიც ეკლესიასა და მორწმუნეთა სარწმუნოებრივს გრძნობას შელახვენ; ზ) მოწვევა სამრევლო კრებისა.

შენიშვნა. სამრევლო კრება უნდა მოწვეულ იქნას იმ შემთხვევაშიაც, უკეთუ ამას მოითხოვს არა უმცირეს 20 მორწმუნისა.

კრებული. კრებულს შეადგენენ: მღვდელი, დიაკონი (უკეთუ იგი არის) და მედავითნე.

ა) მღვდელი. მისი მოვალეობანი. მღვდელი ვალდებულია: აა) მუდამ თავის მრევლში იცხოვროს და სამრევლო საბჭოს ნებადაურთველათ უფლება არა აქვს მრევლი დასტოვოს, განსაკუთრებით, როცა იქ რაიმე მოარული სენი გაჩნდება, ან როდესაც სამრევლოს განსაცდელი რამ მოელის; ბბ) განსაკუთრებულ თვალყურს ადევნებდეს საკუთარს ყოფაქცევას როგორც საზოგადოებაში, ისე თავის სახლში; გგ) აასრულოს საზოგადოებრივი ღვთისმსახურებანი საეკლესიო ტიბიკონით დაწესებულ დროებში; დდ) თავისი მრევლის მოთხოვნისამებრ დაუყოვნებლივ აასრულოს საჭირო მღვდელ-მოქმედებანი; ეე) თვალყური ადევნოს ტაძრისა და საღვთისმსახურო საგნების სისუფთავესა და კეთილშვენიერებას; ვვ) თვალყური ადევნოს მრევლში საეკლესიო დისციპლინისა და ზნეობის დაცვას; ზზ) როცა სამსახურის დროს ამა თუ იმ საკითხის შესახებ რაიმე ეჭვი დაებადება, მოვალეა, ახსნა-განმარტებისათვის საოლქოს ან საეპარქიო საბჭოს მიმართოს; ??) მისს უპირველეს მოვალეობას შეადგენს ეკლესიაში ქადაგება და, საზოგადოთ, სწავლა-მოძღვრება. თუ ამ მხრივ იგი ზარმაცი ან დაუდევარია, სამსახურიდან დათხოვნილ იქნება; დასასრულ, იგი მოვალეა, ღვთისმსახურების დროს თავისი ეპისკოპოსის სახელი მოიხსენიოს. თავის მრევლში მღვდელს უფლება აქვს, სხვა მღვდლებს რომლისამე მღვდელ-მოქმედების შესრულების ნება არ მისცეს.

ბ) **დიაკონი (=მთავარი) და მედავითნე.** მთავარი და მედავითნე არიან მხოლოდ მღვდლის თანაშემწენი და უმისოდ არავითარი მღვდელ-მოქმედების შესრულება არ შეუძლიათ. ერთ მღვდელთან უსათუოდ ერთი მედავითნეც უნდა იყოს, ხოლო რომელ მრევლშიაც ორი ან მეტი მღვდელია, იმ მრევლს, თუ ჰსურს, მთავარიც შეუძლია იყოლიოს.

გ) კრებულის წევრთა თვისებანი: აა) წლოვანებით სამღვდელო კანდიდატი უნდა იყოს არა უმცირეს ოცის წლისა. **მეორე აზრი:** არა უმცირეს 25 წლისა, ბბ) **გონებრივის მხრით** საჭიროა სამღვდლო, სამთავრო და სამედავითნო კანდიდატს საშუალო საზოგადო განათლება ჰქონდეს მიღებული, მაგრამ დროებით, სანამ ასეთი კანდიდატის შოვნა გასაჭირია, შესაძლოა, საკრებული წევრთა კანდიდატად წამოყენებულ იქნას ისეთი პირიც, რომელსაც მიღებული აქვს არა უმცირეს დაბალის საზოგადო განათლებისა (მაგალითად, პროგიმნაზიისა, ოთხ-კლასიან სასულიერო და სამოქალაქო სასწავლებელთა კურსისა). ამასთანავე, როგორც სამღვდელო, ისე სამთავრო და სამედავითნო კანდიდატმა უნდა იცოდეს წირვა-ლოცვისა და მღვდელ-მოქმედების წესები, რაც წინდაწინვე (არჩევამდე) უნდა იყოს შემოწმებული რომლისამე საოლქო საბჭოსაგან. ამგვარათ შემოწმებულ კანდიდატების სიები საჭიროა საეპარქიო საბჭოშიაც ინახებოდეს. გგ) კანდიდატის ზნეობრივ თვისებათა გარკვევა და გამოცნობა თვით ამომრჩეველთა ნდობისა და სინიდისის საქმეა.

დ) **კრებულის წევრთა არჩევა.** კრებულის წევრებს ირჩევს სამრევლო კრება, რომელსაც ამ შემთხვევაში ხელმძღვანელობას უწევს საოლქო საბჭო ან, მისივე მინდობილობით, ერთ-ერთი მისი წევრი. არჩევის შემდეგ საოლქო საბჭოს წარმომადგენელი შეადგენს საარჩევნო სიგელს და სამღვდელო და სამთავრო კანდიდატს წარუდგენს ეპისკოპოსს საკურთხად, ხოლო მედავითნეს — დასამტკიცებლად.

შენიშვნა. საკათედრო კრებულის მდგომარეობისა და რაოდენობის გარკვევა უნდა გადაიდვას საკათალიკოსო საბჭოს არჩევამდე.

ეკლესიის ქონებრივი უფლებანი და სამღვდელოების რჩენის წესი

ეკლესიის ქონებრივი უფლებანი. როგორც იურიდიულს პირს, მრევლსა და სრულიად საქართველოს ეკლესიას უფლება აქვს სარწმუნოებრივისა და საქველ-მოქმედო მიზნით რაიმე ქონება შეიძინოს (როგორც ყიდვით, ისე ანდერძით და შემოწირვით).

სამღვდელოების რჩენის წესი. აუცილებლათ საჭიროა შეიცვალოს არსებული წესი სამღვდელოების რჩენა-შენახვისა. დღევანდელი სამღვდელოება ჯამაგირს იღებს ხაზინიდან, ხოლო საზრდოსა და წვრილ-წვრილ შემოსავალს - ხალხისაგან. აქედან წარმოსდგება თვით სამღვდელოების მდგომარეობის ორჭოფობა; იგი არც მთლათ ხალხს ეკუთვნის და არც მთლათ მთავრობას, რაიცა ჰქმნის მრევლისა და სამღვდელოების გამწვავებულს ურთიერთობას. რომ ეს უხერხული მდგომარეობა მოისპოს და სამღვდელოება მარტო მორწმუნეებს ეკუთვნოდეს, საჭიროა სამღვდელოებას ინახავდეს მარტო ის, ვისაც იგი ემსახურება, ე. ი. მრევლსა, ანუ მორწმუნეებს. მაშასადამე, პრინციპიალურათ საჭიროა, მრევლმა პირდაპირ თვითონ უზრუნველ-ჰყოს თავისი კრებული, საქართველოს ეკლესიამ - თავისი სამღვდელოება.

.მაგრამ სანამ ის საეკლესიო ქონებანი, რომელნიც ხაზინის ხელში გადავიდა და დღესაც ხაზინის ხელში იმყოფება, ქართველ ხალხს არ დაუბრუნდება და სანამ იმ საეკლესიო ქონებათა ღირებულება, რომელნიც კერძო პირთა ხელშია გადასული, მომავალს საკათალიკოსო საბჭოს არ გადაეცემა საქართველოს ეკლესიის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, აგრეთვე, სანამ ის ჯამი, რომელიც დღეს ქართველ სამღვდელოებას ხაზინიდან ჯამაგირად ეძლევა, ხალხის სახელმწიფო გადასახადს არ ჩამოაკლდება, მანამდე ქართველი სამღვდელოება მარტო ხალხს ვერ დააწვება სარჩენად. ამიტომ სანამ რუსეთის ან, კერძოდ, კავკასიის წარმომადგენლობითი კრება სამღვდელოების რჩენის საკითხს გადასწყვეტდეს, სახელმწიფო ვალდებულია ქართველ სამღვდელოებას ჯამაგირი აძლიოს, ხოლო მრევლმა იმდენი მისცეს, რამდენიც მის არსებობას უზრუნველ-ჰყოფს."

საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის პროექტის ქართული ტექსტი გამოქვეყნდა ჟურნალ „მწყემსში" (1906,№1-2, 15-30 იანვარი) და რუსულ გამოცემაში გაჩნდა ცნობები იმის თაობაზე, რომ ქართველი სამღვდელოების კრების მიერ მიღებულ საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის პროექტს სამღვდელოება საიდუმლოდ ინახავდა.

საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის პროექტმა იმთავითვე ქართველი სამღვდელოებისა და საზოგადო მოღვაწეთა დიდი მოწონება დაიმსახურა. **პროექტის ტექსტის ანალიზისას ცხადი ხდება, რომ დოკუმენტზე სერიოზული განათლებისა და დიდი ერუდიციის მქონე ადამიანები მუშაობდნენ, რამაც განაპირობა ის, რომ დოკუმენტი როგორც ისტორიული, ისე იურიდიული და, რაც მთავარია, კანონიკური თვალსაზრისით თითქმის უნაკლოდაა შედგენილი. ეს იმდროინდელი ქართველი სამღვდელოების დიდ ინტელექტუალურ შესაძლებლობებზე მიუთითებს.**

რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირი. ქართველი სამღვდელოებისა და მეცნიერთა მოღვაწეობა საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენის მიზნით

რეფორმების დასაწყისი რუსეთის ეკლესიაშიდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი (XX საუკუნის დამდეგი). რუსეთის სახელმწიფოს ისტორიაში ახალი ეპოქა დაიწყო პიოტრ I-ის (1696-1725) დროს. მის მიერ გატარებულმა რეფორმებმა ძირეულად შეცვალა ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემა. საეკლესიო რეფორმას, რომელიც პიოტრ I-მა გაატარა, არ ჰქონია რაიმე ეკლესიური (თეოლოგიური) საფუძველი, მეტიც, იგი სახელმწიფო (საერო) პოლიტიკით იყო განპირობებული. ცხადია, სახელმწიფო რეფორმებს პეტრე დიდი ვერ გაატარებდა ეკლესიის მხარდაჭერის გარეშე. ამიტომ იყო, რომ პირველი რიგის ამოცანად იქცა რეფორმა თვით რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში. საეკლესიო რეფორმა ძალზე გაჭიანურდა, იგი 1700 წლიდან 1721 წლამდე მიმდინარეობდა. რეფორმის არსი მდგომარეობდა შემდეგში: **უნდა გაუქმებულიყო მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის თანამდებობა, აღარ უნდა მოეწვიათ რუსეთის საეკლესიო კრება, ხოლო ეკლესიის მართვა-გამგეობა უნდა გადასულიყო განსაკუთრებული სასულიერო კოლეგიის ხელში.** 1720 წლის 27 თებერვალს პიოტრ I-ის წინადადებითა და ინიციატივით შემუშავებული და ხელმოწერილი იქნა სასულიერო კოლეგიის დაარსებისა და პროექტ-რეგლამენტის წესდება. სასულიერო კოლეგიის დაარსების საკითხი არ განუხილავს რუსეთის საეკლესიო კრებას. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მისი დაარსება უკანონო იყო. 1721 წლის 25 იანვარს გამოიცა პიოტრ I-ის მანიფესტი სასულიერო კოლეგიის რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე. 1721 წელსვე სასულიერო კოლეგია გარდაიქმნა **უწმიდეს მმართველ სინოდად,** რომელიც უშუალოდ მეფეს (1721 წლის 25 ოქტომბრიდან იმპერატორს) ექვემდებარებოდა. სინოდის წევრები ფიცს დებდნენ არა ეკლესიის, არამედ იმპერატორის ერთგულებაზე, ე. ი. პრაქტიკულად, საეკლესიო იერარქები (მიტროპოლიტები, არქიეპისკოპოსები, ეპისკოპოსები) გაუთანაბრეს საერო (სახელმწიფო) მოხელეებს. რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდის წევრები მღვდელმთავრები (მიტროპოლიტები, არქიეპისკოპოსები, ეპისკოპოსები) იყვნენ, მაგრამ ობერ-პროკურორი (თავმჯდომარე) საერო პირი უნდა ყოფილიყო. სინოდის წევრებს და ობერ-პროკურორს იმპერატორი ნიშნავდა და ათავისუფლებდა. იმპერატორის უზენაესი როლი რუსეთის ეკლესიის მართვა-გამგეობაში სავსებით ნათლად იყო გამოკვეთილი რუსეთის იმპერიის კანონმდებლობით. 1832 წელს გამოცემული იმპერიის ძირითადი კანონების ორმოცდამეორე მუხლში აღნიშნულია: "**იმპერატორი, როგორც ქრისტიანი ხელმწიფე," არის ქრისტიანობის, მისი დოგმატებისა და ეკლესიის უზენაესი დამცველი**. იმავე მუხლის ძალით, იმპერატორი იწოდებოდა "ეკლესიის მეთაურად". ორმოცდამესამე მუხლში აღნიშნული იყო, რომ **იმპერატორი (თვითმპყრობელი) ეკლესიის მართვას ახორციელებდა უწმიდესი მმართველი სინოდისა და მისი დაწესებულების მეშვეობით.** რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას უწმიდესი მმართველი სინოდი 1721 წლიდან 1917 წლამდე განაგებდა. ორ საუკუნეზე მეტ ხანს (1700-1917 წწ.) რუსეთის ეკლესიას პატრიარქი არ ჰყოლია

(გაგრძელება იქნება)

ვახტანგ გურული

(საქართველოს ახალი ისტორია, . (1801-1918) წიგნი 3; გვ: 490-493

მილწეული წარმატებები –„ეს ჩვენ შევძელით“ ... საუბარი სამომავლო გეგმებზე

ალიონი. 155-ე საიუბილეო სეზონისადმი მიძღვნილ უპრეცედენტო მასშტაბის გასტროლზე თბილისში, რუსთავსა და გორში, ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა **ვასილ ჩიგოგიძემ** 20 ნოემბერს გამართულ პრესკონფერენციაზე ისაუბრა. გასტროლები, რომელიც 31 ოქტომბრიდან, 11 ნოემბრის ჩათვლით გაიმართა, განხორციელდასაქართველოს, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით.

დედაქალაქში ხუთი თეატრის სცენაზე, ოზურგეთის თეატრმა 9 სპექტაკლი წარმოადგინა. რუსთაველი, თუმანიშვილი, თავისუფალი თეატრი; ნოდარ დუმბაძის, გრიბოედოვის თეატრები 8 დღის განმავლობაში მასპინძლობდნენ ოზურგეთელ მსახიობებსა და შემოქმედებით კოლექტივს.

– *„ეს იყო უპრეცენდენტო მნიშვნელობის გასტროლი. მინდა მადლობა გადავუხადო კულტურის სამინისტროს, განსაკუთრებით თეა წულუკიანს, ასევე შემოქმედებით, ტექნიკურ ჯგუფს, სპექტაკლების რეჟისორებს“*; თეატრის დირექტორს ზაზა ჯინჭარაძეს, აღნიშნა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა“, აღნიშნა ისიც, რომ პროექტის ფარგლებში, გურიის თემატიკაზე დადგმული სპექტაკლებით – ტრილოგიის პირველი ნაწილით „რესპუბლიკა გურია“ და მეორე ნაწილით „გურიის დედოფალი”, მაყურებელმა გაიცნო გურიის ბოლო 200 წლოვანი ისტორიის მნიშვნელოვანი ეპიზოდები. ვრცლად ისაუბრა თეატრის ადრინდელ და ამჟამინდელ წარმატებებზე.

– *„სიამაყით გეტყვით, პოპულა-რიზაცია ოზურგეთის თეატრს, არც ადრე აკლდა და ამის თვალსაჩინო მაგალითებია დიდი დეკადები თბილისში, გერმანიაში, პორტუგალიაში, საბერძნეთში, ბულგარეთში. მნიშვნელოვანი გასტროლები ბამზე, მაგრამ ეს გახლდათ პირველი პროექტი, რომელშიც ოზურგეთის თეატრმა გაიმრჯვა და საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დაფინანსებით, ფაქტიურად იყო პირველი ექსპერიმენტი, შესაძლებლობები და მნიშვნელოვანი მაგალითი რეგიონის თეატრებისთვის.“*

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, ვასილ ჩიგოგიძის აღნიშვნით, ოზურგეთის სახელმწიფო დრამატულ თეატრს საკუთარ რეპერტუარში, ტრადიციულად შეაქვს საახალწლო, გასართობი, მუსიკალური შოუ-პროგრამა, ამჯერად არჩევანი გაკეთდა ვარიაციებზე,კონკიას მიხედვით, რომელსაც პატარა მაყურებელი 25 დეკემბრიდან იხილავს. ასევე მოხდება ზღაპრის სახელწოდებით „სალამურა”-ს დადგმა, მო-მზადდება დმანისისა და ოზურგეთის თეატრების საერთო კოპროდუქტი, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელთან, გიორგი სიხარულიძესთან ერთად. სამომავლოდ, კიდევ ერთი საინტერესო პროექტზე გაამახვილა ყურადღება, საქართველოს კულტურის სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით, შექმნილ თეატრების „ოქროსფონდი”-ს თაობაზე, სადაც წელს მოხდება მხოლოდ სამი სპექტაკლის ჩაწერა, შერჩეული სამი სპექტაკლიდან ოზურგეთის თეატრის სპექტაკლი „რესპუბლიკა გურია” ერთ-ერთი პირველია, რომელსაც 30 ნოემბერს გადაიღებს პროდიუსერი ნოე სულაბერიძე თავის გუნდთან ერთად.

ვასილ ჩიგოგიძემ საკადრო ცვლილებებზეც ისაუბრა, რომ თეატრს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი– მენეჯერის სახით **ეკა ნინიძე** ეყოლება, მან მას წარმატებები უსურვა, ხოლო პრესკონფერენციის დასასრულს აღნიშნა, რომ დღეს უკვე დაბეჯითებით შეუძლია ისაუბროს, გურიის 200 წლოვანი ისტორიის გაცოცხლების მიზნით ტრილოგიის მესამე ნაწილზეც, რომელიც წმიდა ღვთისკაცს ექვთიმეს მიეძღვნება, მისი რეჟისორი გოჩა კაპანაძე იქნება, პრემიერა კი სულ მალე 2023 წლის 17 ოქტომბერს შედგება.

შეხვედრის ბოლოს ვასილ ჩიგოგიძემ თანადგომა სთხოვა საზოგადოებას, კომპანიებს, ბიზნესმენებს, რათა საახალწლო დღეები ერთობლივად გაულამაზონ ბავშვებს.

შემოდგომის ზეიმი №1 საჯარო სკოლაში

„გვინდა პატარა ნაბიჯი გადავდგათ ძმობისა და ერთობისაკენ“

ალიონი. გასულ ხუთშაბათს შემოდგომის ზეიმი იყო ქ. ოზურგეთში, სერისუბანში. რეგიონის უძველესი 175 წლის სკოლის დაწყებითი კლასების მოსწავლეებმა, მათმა მშობლებმა და პედაგოგებმა შემოდგომის ზეიმი მოაწყვეს.

ცალკეულ კლასებს საინტერესოდ ჰქონდათ წარმოჩენილი საქართველოს რეგიონები (გურია, აფხაზეთი, აჭარა, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი, ქართლი, კახეთი, ფშავ-ხევსურეთი და ა.შ.) ამ კუთხეების კულტურა, ეთნოგრაფია, წეს-ჩვეულებები, სამზარეულო, სიმღერები და ცეკვები. ძალიან ბევრი ძველი ნივთი იყო წარმოდგენილი ცალკეული კუთხეების იდენტურობის წარმოსაჩენად.

ღონისძიება დაიწყო გურული იუმორით და დასრულდა გალაკტიონის ცნობილ ლექსზე შექმნილი სიმღერით: „გამარჯობა აფხაზეთო შენი.“

ზეიმის მონაწილეებს მიესალმნენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი **ავთანდილ თალაკვაძე,** საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩია** და განათლების რესურსცენტრის ხელმძღვანელი **ლელა იმედაშვილი.** ხელისუფლების წარმომადგენლები აქ წარმოდგენილ ყველა კუთხეს ესტუმრნენ და მათ მიერ მომზადებული კერძები დააგემოვნეს.

ცალკე უნდა გამოვყოთ პირველი „ბ“ კლასის აფხაზეთის კუთხე, სადაც დიდი სიყვარული, სითბო და ერთგავრი სევდა იგრძნობოდა. სოხუმისაკენ მიმავალი აფრიანი გემის მცირე მაკეტზე მგზავრებისათვის ბილეთებიც გაემზადებინათ.

ნინო ცეცხლაძე, კლასის ხელმძღვანელი –*ჩვენს კლასს დაევალა ზეიმზე აფხაზეთი წარმოედგინა. ერთ-ერთი მშობელი ვიქტორია შამუგია აფხაზეთიდანაა. სულ პატარა ჩამოიყვანეს აქ მშობლებმა და აქ უკვე 27 წელის ცხოვრობს. ჩვენი ზეიმის მზადების შესახებ ვიქტორიას ახლობლებმაც გაიგეს და გადაწყვიტეს საქართველოს ამ ლამაზი კუთხისათვის დამახასიათებელი კერძები გამოეგზავნათ საჩუქრად. მათ ეს გააკეთეს, ხოლო იმ კერძებისათვის, რომელიც ადგილზე უნდა დამზადებულიყო, შესაბამისი ინგრედიენტები გამოაგზავნეს.გუშინ ამ ყველაფერმა გადალახა აფხაზეთის დროებითი საზღვარი. ღონიძიების ფინალი სწორედ „გამარჯობა აფხაზეთო შენი“ გახლდათ,“ რომელიც მივუძღვენით ჩვენს აფხაზ ძმებს და კიდევ ერთი პატარა ნაბიჯი გადავდგით ძმობისა და ერთო-ბისაკენ“*–გვითხრა ნინო ცეცხლაძემ.

– *კიდევ ერთი ლამაზი დღე შეემატა პირველი სკოლის უმდიდრეს ისტორიას. დაწყებითი კლასების მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა მონაწილეობით „გავაე-რთიანეთ საქართველო“, გურიიდან დავიწყეთ და ენგურის ხიდზეც გადავედით, აფხაზეთიც მოვინახულეთ. მოსწავლეებმა და მშობლებმა საინტერესოდ წარმოადგინეს საქართველოს კუთხეები, მათი კულტურა, ეთნოგრაფია, სამზარეულო. მადლობას ვუხდით ასეთი მზარდაჭერისა და თანადგო-მისთვის ჩვენს არაჩვეულებრივ მშობ-ლებს. მათ დაამტკიცეს, რომ სასკოლო საზოგადოების უმთავრესი წევრები არიან* – განაცხადა სკოლის დირექტორმა **მაია თავართქილაძემ.**

მზე, ღრუბელი +8+13	მზე, ღრუბელი +10+16	მზე, ღრუბელი +8+16	მზე, +10+17	წვიმა +7+15	წვიმა +6+12	წვიმა +7+16
28 ნოემბერი	29 ნოემბერი	30 ნოემბერი	1 დეკემბერი	2 დეკემბერი	3 დეკემბერი	4 დეკემბერი
ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა